ხელშეკრულება № 52
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი

31 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანება" (შემდგომში – „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მეწარმე „კახა დათაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის წესით ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანებისათვის" გამოყოფილი სახსრებით ხიდისთავის საბავშვო ბაგა-ბაღის სახურავის შეკეთების მომსახურების შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: ქვეშის საბავშვო ბაგა-ბაღის დაზიანებული კედლის რეაბილიტაციის მომსახურების შესყიდვა.

2.2 CPV კოდი – **45454100**

2.3 შესასრულებელი სამუშაოს მოცულობები მოცემულია ფასების ცხრილში (ხარჯთაღრიცხვა), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების მსგავსი სამუშაოებისთვის არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად. წესებისა და ნორმების გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით პასუხისმგებლობის ზომებში

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება არის – 2094.7 (ორი ათას ოთხმოცდათოთხმეტი და სამოცდაათი თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.2 შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

4.3 სამუშაოების შესრულების გარანტიის ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში. რა პერიოდშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის/ ნაკლის აღმოჩენიდან არაუმეტეს 1 თვეში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიყენებული ზიანის 1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.4 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრისთვის შესრულებული სამუშაოს დასრულებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში დეფექტის/ნაკლის შეფასება და ნაკლულობის დადგენა მოხდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადები და პირობები

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში ნაწილობრივ.

5.2 მიწოდების ადგილია : გორის რაიონის სოფელი ქვეში.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით)

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის და 5.2 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 მარტის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს ლეგადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) თუ მიმწოდებელი გადააცდენს სამუშაოების შესრულების ვადას;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.2 შემსყიდველს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.4 მე-12 მუხლის 12.1 და 12.2 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

„შემსყიდველი"                                                                 „მიმწოდებელი"

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. საქონლის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „თვითმმართველი თემის - გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმრდელო დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად (საიდანაც ორი რჩება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან), რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა).

## 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შესყიდველი"

ა(ა)იპ "თვითმმართველის თემის – გორის

მუნიციპალიტეტის სააღმზრდელო

დაწესებულებათა გაერთიანება"

ს/კ 417886773

მისამართი : გორი, სტალინის გამზ., №4

ა/ა GE66LB0115114118511000

ს/ს: „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

დირექტორი: გიორგი გელაშვილი

"მიმწოდებელი"

ინდივიდუალური მეწარმე „კახა დავითაშვილი"

ს/კ 59001013895

მისამართი: გორი, სამეფოს ქუჩა, №19

ა/ა GE91 LB 011 213 452 002 6000

ს/ს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTGE22

ინდივიდუალური მეწარმე "კახა დავითაშვილი"

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა)

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფელ ქვეშის საბავშვო ბაღში დაზიანებული კედლის რეაბილიტაცია

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომილების ერთეული | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ჯ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| | **სადემონტაჟო სამუშაოები** | | | | | | | |
| 1 | არსებული კედლის დემონტაჟი | მ2 | 26.5 | 0.0 | 0.0 | 6.0 | 159.0 | 15 |
| 2 | არსებული კარების დემონტაჟი დასაწყობებით | მ2 | 3.8 | 0.0 | 0.0 | 20.0 | 76.0 | 76 |
| | **სამშენებლო სამუშაოები** | | | | | | | |
| 1 | ტიხრის ქვეშ არმირებული საძირკვლის მოწყობა ბეტონით მ-200 არმატურა A-III დ-8 | მ3 | 0.4 | 300.0 | 120.0 | 40.0 | 16.0 | 136 |
| 2 | თაბაშირმუყაოს ტიხრის მოწყობა | მ2 | 26.5 | 12.0 | 318.0 | 8.0 | 212.0 | 530 |
| 3 | კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით დაფითხვით (ორ ფენად) | მ2 | 53.0 | 3.5 | 185.5 | 6.0 | 318.0 | 503 |
| 4 | არსებული კარების მონტაჟი | მ3 | 3.8 | 0.0 | 0.0 | 20.0 | 76.0 | 76. |
| | ჯამი | | | | 623.5 | | 857.0 | 1480 |
| | ტრანსპორტის ხარჯი | 4% | | | | | | 24.9 |
| | ჯამი | | | | | | | 1505 |
| | ზედნადები ხარჯი | 8% | | | | | | 120. |
| | ჯამი | | | | | | | 1625. |
| | გეგმიური დაგროვება | 6% | | | | | | 97.6 |
| | ჯამი | | | | | | | 1723. |
| | გაუთვალისწინებელი ხარჯი | 3% | | | | | | 51.7 |
| | ჯამი | | | | | | | 1775. |
| | დ.ღ.გ. | 18% | | | | | | 319.5 |
| | ჯამი | | | | | | | 2094. |

"შემსყიდველი"

"მიმწოდებელი"